

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

ქ. გარდაბანში, თბილსრესის მიმდებარე ტერიტორიაზე
ს.კ. 81.15.30.070 ამორტიზირებული ორი შენობა-ნაგებობის
დაშლა-დემონტაჟზე

1. ობიექტის დახასიათება

1.1. საკადასტრო გეგმისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ზემოთ აღნიშნული ტერიტორია ფართობით 988148 მ²-ია. საკადასტრო გეგმით ტერიტორიაზე განთავსებულია 78 შენობა-ნაგებობა. ამჟამად გათვალისწინებულია ტერიტორიაზე მდგომი ორი ერთეული (საკადასტრო გეგმით №47 და №69 – ჯამური ფართობით 3529 მ²) ძველი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობისა და ნაგებობის დაშლა-დემონტაჟი.

1.2. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები აგებულია გასული საუკუნის 60-70-იან წლებში 7 ბაღიან სეისმიურ პირობებზე გათვლით. №47 შენობა ამჟამად ექსპლუატაციაშია, თუმცა ფასადი სავალალო მდგომარეობაშია. №69 შენობაში სახურავიდან ჩამავალმა წყლებმა დაანესტიანა შიგთავსი, კედლებიდან ჩამოშლილია ბათქაში, აყრილია იატაკი. შენობაში ნესტისა და შმორის სუნია. ორივე შენობაში დაჟანგულია გადახურვის ღრუტანიანი ფილის ძირები, კოროზირებულია მრავალ ადგილას გაშიშვლებული არმატურის ბადეები და ღეროები.

1.3. შენობა-ნაგებობების აღდგენა საექსპლოატაციო მდგომარეობაში მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ისინი ეროვნული ნორმებით სეისმომდგეობაზე მოსაყვანი იქნება 8 ბალ სეისმური პირობების შესატყვის მდგომარეობაში. ამიტომაც გადაწყდა მათი დემონტაჟი და მის ადგილზე ახალი თანამედროვე მოთხოვნილებების შესატყვისი ობიექტის აგება.

1.4. აზომვითი ნახაზების მიხედვით, (ჩაკრულია დოპ-ის ბოლო გვერდებზე) საკადასტრო გეგმით შენობა (ადმინისტრაციული კორპუსი) №47-ის ზომებია გეგმაში 55X16 მეტრი, სიმაღლე 12,6 მეტრია. წარმოადგენს

სამსართულიან, მანსარდის მქონე ადმინისტრაციულ კორპუსს. აგებულია რკინაბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებში, სართულების სიმაღლე 3,15 – 3,20 მეტრია, გადახურულია ასაწყობი ბეტონის ღრუტანიანი ფილებით ზომით 1,2X6,0 მეტრზე, რომლებიც სამ-სამ წერტილში დადუღებულია რიგელებზე. კედლები წარმოადგენენ რკინაბეტონის პანელებს ზომით 1,8X6,0; 1,2X6,0; 1,8X3,0 და 1,2X3,0 მეტრზე და ჩამოდებულია სვეტებზე მიდუღებულ თაროებზე, კიბის მარშები და ბაქნები ასევე ასაწყობია, სახურავის ფენილი რულონური მომასწორებელი, მათბუნებელი და ორთქლსაიზოლაციო პაკეტით.

1.5. საკადასტრო გეგმით №69 (ყოფილი სადარაჯო ჯიხური) ერთ-სართულიანი რკინაბეტონის მზიდ კედლებში ნაშენი ნაგებობაა ზომებით გეგმაში 3,0X3,0 მეტრი, სიმაღლე სახურავის კეხამდე 2,40 მეტრია, დახურულია ასაწყობი რკინაბეტონის ფილებით, მზიდი კედლები დამჯდარია, გადახურვის ფილები დაზიანებულია. იატაკი აყრილი, ნაგებობა გაპარტახებულია, იხ. ფოტო მასალა.

1.6. ტერიტორია შემოღობილია კაპიტალური ღობით, გააჩნია რკინის ავტოჭიშკარი, შემოღობილ ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის საფარი ნაწილობრივია შემორჩენილი,

1.7. ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების საფუძველზე დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგია:

- წითელ ხაზებში მოქცეული ტერიტორიის ფართი – 988148 მ²;
- დასაშლელ-სადემონტაჟო ერთი შენობა და ერთი ნაგებობის ჯამური ფართობი შეადგენს – 3529,0 მ²;
- მათი სამშენებლო მოცულობა 44408,25 მ³-ია;
- შენობის მაქსიმალური სიმაღლე 0,00 ნიშნულიდან ზევით – 12,6 მ.
- ნული ნიშნულის ქვევით – 0,00 მ

1.8. დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოთა მოცულობები ცალკეული დასაშლელი ობიექტებისათვის მოცემულია ცხრილის სახით

№ საკადასტრო ბეჭდით	სართულების რაოდენობა	მაჩვენებლები				ღირებულება ლარებში	
		სიგრძე მ.	სიგანე მ.	ფართობი მ ²	მაქს. სიმაღლე მ.	ერთეულზე	სულ
47/4	4	55,0	16,0	3520,0	12,6		
69/1	1	3,0	3,0	9,0	2,4		
ჯამი				3529,0	-		

1.9. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე საჭიროა შიდა კომუნიკაციების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან.

1.10. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასათვალისწინებელია დაშლა-დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების ღირებულება მათი თვით ღირებულების შესაბამისად და ანაზღაურება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის მოხდეს წინასწარ გათვალისწინებული შეთანხმების საფუძველზე.

1.11. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა ეტაპობრივი განხორციელებისა და მისი ფინანსური უზრუნველყოფის გათვალისწინებით შესადგენია კალენდარული გეგმა სადემონტაჟო სამუშაოებზე ერთ თვეზე გათვლით და კალენდარული გრაფიკი იგივე სამუშაოთა შესრულებაზე კალენდარული დღეების მიხედვით, იხილეთ პარაგრაფები 2 და 3.

**2. შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟზე კალენდარული გეგმა
თანხების მოთხოვნილების გათვალისწინებით**

№	სამუშაოთა დასახელება	ღირებულება დღ-ს და სხვა დანახარჯის ჩათვლით	თანხების ყოველთვიური ათვისება					
			კალენდარული დღეები					
			5	10	15	20	25	30
1.	მოსამზადებელი სამუშაოები, შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟი							
2.	თანხების პროცენტული განაწილება თვეებში							

**3. კალენდარული გრაფიკი სადემონტაჟო სამუშაოთა
განხორციელების ცალკეულ ეტაპებზე**

№ №	ეტაპების დასახელება	დღეები	კალენდარული დღეები					
			5	10	15	20	25	30
1	შიდა საინჟინრო კომუნიკაციების ჩახსნა, კარ-ფანჯრების დემონტაჟი, ტიხრების დაშლა, იატაკის აყრა, ეზოში ჩამოტანა და გატანა.							
2	საკედლე პანელების მოხსნა-დემონტაჟი, მობილური ამწის გამოყენებით							
3.	რულონური სახურავის ფენების მოხსნა და სახურავის გადახურვის ფილების დემონტაჟი მობილური ამწის გამოყენებით							
4.	სართულ – სართულ მანსარდის, III, II და I სართულებზე გადახურვის ფილების რიგელების და სვეტების დემონტაჟი კიბის მარშებთან და ბაქნებთან ერთად მობილური ამწის გამოყენებით							
5.	ს/კ №69 ერთსართულიანი შენობის დემონტაჟი							

6.	სადირკელის კოჭებისა და წერტილოვანი სადირკელების დემონტაჟი მობილური ამწისა და სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით							
7.	სამშენებლო ნაგვის შეგროვება, სამშენებლო ტრანსპორტზე დატვირთვა და გატანა.							

4. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი დოკ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 „დემონტაჟის წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს მდემონტაჟზე შრომის, ელექტრო, ხანძარსაწინააღმდეგო და ბუნების დაცვითი ღონისძიებათა დაცვით.

4.2. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დაპროექტებაზე;
- საკადასტრო რუქა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზები;
- ტოპო გეგმა;
- შენობა-ნაგებობათა აგარიული მდგომარეობის ამსახველი ფოტო მასალა;
- სიტუაციური გეგმა;

4.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

4.4. სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის გაცემის შემდეგ. სამეზობლო გვერდების მხრიდან აუცილებელია დასაშლელი ტერიტორიის შემოკავება დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობით.

4.5. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად მშენებლობა უნდა წარიმართოს ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

4.6. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების ცალკეულ ეტაპებზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში.

4.7. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

5. დაშლა-დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

5.1. შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

5.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მომქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს:

- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია“;
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები“;
- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ - ტექნიკური მოწყობა“;
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“;
- სნ და წ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და № 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

5.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;
- მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

– საქართველოს მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05. 2006 წელი) საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის საგალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

5.4. გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ნარჩენების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია დაშლა-სადემონტაჟო - სამუშაოთა შესრულების პროცესში.

5.5. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღებისა და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

5.6. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

5.7. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათი უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა

დამოკიდებულია სამშენებლო – სარეკონსტრუქციო სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

6. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

6.1. დემონტაჟის წინ საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით საჭიროა წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროქსელის და სხვათა ჩახსნა საქალაქო საინჟინრო კომუნიკაციებიდან სათანადო აქტების გაფორმებით.

6.2. ობიექტი რეკომენდებულია აღიჭურვოს დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით.

6.3. შენობა-ნაგებობები მტვერის შემცველი დაშლითი სამუშაოების ჩატარების წინ საჭიროა დაინამოს ან შეიფუტოს მტვერის დამჭერი ბადით, რათა არ მოხდეს მტვერის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

6.4. შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟი გულისხმობს საძირკველის დაშლასაც და ტერიტორიის მთლიან გამოთავისუფლებას სამშენებლო ნაგვისაგან.

6.5. დაშლითი სამუშაოების უზრუნველყოფა ელ. ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს სარაიონო ქსელებიდან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

6.6. შენობის დაშლის პირველ ეტაპზე საჭიროა შენობის შიგთავსის გამონთავისუფლება: წყალკანალიზაციის სისტემების დემონტაჟი, კარფანჯრების მოხსნა, ტიხრების დაშლა, იატაკების აყრა, სამშენებლო ნაგვის შეგროვება, მათი თვითმცლელელებზე დატვირთვა და გატანა.

6.7. შენობა აგებულია ასაწყობ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში, რის გამოც საჭირო გახდება მათი დაშლა ცალკეული ელემენტების მიხედვით. თავდაპირველად შენობებს უნდა შემოეხსნას შეკიდებული საკედლე

პანელები, ხოლო შემდეგ შესაძლებელი გახდება მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი: კალენდარული გეგმის მიხედვით თავდაპირველად იხსნება სახურავის რულონურ ფენილთან ერთად გადახურვის ფილები, შემდეგ სართულ-სართულ რკინაბეტონის რიგელები, გადახურვის ფილები, რკინაბეტონის სვეტების მოხსნა შესაძლებელია სართულ-სართულ გადახურვის დონეზე გადაჭრით, საბოლოოთ კი უნდა მოხდეს საძირკვლის კოჭების დემონტაჟი საძირკვლებთან ერთად.

6.8. ყველაზე რთულ სამუშაოდ გვევლინება სახურავის გადახურვის წიბოვანი ფილების მოხსნა-დემონტაჟის პროცესი, ვინაიდან ისინი მინიმუმ სამ წერტილში დადუღებული და ჩაბეტონებული არიან რიგელებზე. მათი მოხსნისათვის ფილას კიდებიდან ერთ მეტრ მანძილზე უნდა გაიხვრიტოს, შემოეველოს ტროსები და ჩამოეკიდოს ამწის კაუჭზე მცირედმოშვებულ მდგომარეობაში, შემდეგ საყრდენებზე უნდა ჩაიჭრას შედუღების წერტილები, აიწიოს ფილა და დაეშვას მიწის ზედაპირზე ან სატრანსპორტო პლატფორმაზე.

6.9. ამ შემთხვევაში ფილებზე მოწყობილი სახურავის საფარი ფენები (რუბეროიდის ოთხი ფენა, 3 სანტიმეტრის სისქის ცემენტის მომასწორებელი ფენა, წიდაბეტონის მათბუნებელი 8 სანტიმეტრი სისქის ფენა, ორთქლსაზოლაციო პერგამინის ერთი ფენა), მათგან მიღებული სამშენებლო ნაგვის შეგროვებითა და ჩამოშვებით ავტო-სატრანსპორტო საშუალებებში, შემდეგ კი შესრულდეს ზემოთ განხილული სამუშაო ტროსების შემოვლებაზე და კონსტრუქციების ჩამოშვებაზე.

6.10. გადახურვის ფილების მეორადი გამოყენება ახალ მშენებლობაში კანონით იკრძალება და მათ იყენებენ ინდივიდუალური ავტოფარეხების დასახურად ანდა ჯებირებისა და ღობეების დანიშნულებით. ამიტომ დასაშვებია სახურავის ფილების ჩამოშლა ადგილზევე სანგრევი ჩაქუჩების ან სხვა დარტყმითი იმსტრუმენტის გამოყენებით, ჯართის გამოცალკევება და მისი რეალიზება. ასეთ დროს უფრო ადვილია სამშენებლო ნაგვის მიწაზე შეგროვება

ბუღდოზერით, თვითმცდელებზე დატვირთვა ექსკავატორით და ნაგავსაყრელზე გატანა.

6.11. სახურავის ფილების დაშლის შემდეგ შენობის სვეტების თავზე რიგელების კვანძები შუა სვეტებთან ოთხივე, ხოლო განაპირასთან სამივე მხრიდან ამობეტონებულია, რის გამოც უფრო ადვილია მათი საყრდენებთან ჩაჭრა ბოლგარკის ტიპის საჭრელი მოწყობილობის გამოყენებით და ამწის საშუალებით მიწაზე ჩამოშვება.

6.12. აღნიშნულთან დაკავშირებით სამუშაოები უნდა წარიმართოს ამწე მექანიზმების მონაწილეობით, ტროსები უნდა შემოეხვიოს დასაშლელ ელემენტს კაუჭზე მოშვებულ მდგომარეობაში ჩამაგრებით, შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვით, რათა საყრდენთან პირაპირის ჩაჭრის მომენტში არ მოხდეს რიგელის ან სვეტის უნებლიე შემოტრიალება; პირაპირების გათავისუფლების მერე მუშები ტოვებენ სამუშაო ადგილებს; ხსნიან მოტრიალებისაგან დამცავ ბაგირებს და ამწის საშუალებით წარმოებს სადემონტაჟო ოპერაცია კონსტრუქციის მიწაზე ან ავტოტრანსპორტში ჩამოშვებაზე.

6.13. ანალოგიური მეთოდი წარმოებს საკედლე პანელების დემონტაჟიც.

6.14. სამ-ოთხ სართულიან შენობებში სვეტების დემონტაჟისათვის ყველაზე იოლ საშუალებად გვესახება ამწის კაუჭით მისი დაჭერა, ფუძეში „ბორგალკის“ ტიპის მექანიზმით ჩაჭრა, ტრავერსული სამარჯვებით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოყვანა და მიწაზე ან ავტოტრანსპორტის ძარაში დაწვენა.

6.15. დაშლილი კონსტრუქციული ნაკეთობების სამომავლო ბედს წყვეტს დამკვეთი: ადგილზე დააქუცმაცოს ჯართის გამორჩევით და ნაგვის გატანით; გაიტანოს სხვა ტერიტორიაზე და ასე შემდეგ გამოიყენოს სხვა საჭიროებით, მაგალითად საძირკვლების ფუძის გასაძლიერებლად.

6.16. ბოლო ეტაპია ასაწყოი რკინაბეტონის საძირკვლის კოჭებისა და წერტილოვანი საძირკვლების დაშლა და ტერიტორიის გამოთავი-

სუფლება სამშენებლო ნაგვისაგან, რომელიც უნდა შესრულდეს ამწეებისა და მიწის მთხრელი მანქანების გამოყენებასთან ერთად სანგრევი ჩაქუჩებით, პერფერატორებით და მექანიზაციის სხვა საშუალებებით.

6.17. დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

7. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა

7.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვა მანქანამექანიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	ლითონის სახარაჩო სექციები 50 მ ² ფართობისათვის		
2	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა		
3	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა		
4	გადასატანი კომპრესორი		
5	სანგრევი ჩაქუჩები		
6	ავტოგენური საჭრელი აპარატები		
7	თვითმცველი, ძარიანი და სპეციალტორანსპორტი		
8	ჩასაბმელი სამარჯვები		
9	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა - ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა		
10	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2X2 (H)		
11	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი		
12	პერფორატორები		
13	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10 ტ-მდე		
14	თვითწევადი აკეანი		
15	ხელის უნივერსალური ჯალამბარი		

16	ვიბროსამსხვრევი		
17	ელექტრომაგნიტური ბურდი		
18	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები		
19	ამწე მექანიზმები		
20	ექსკავატორი ჩაჩის ტევადობით 0,25 მ ³		
21	ბუდღოზერი სიმძლავრით 59 კვტ.		

7.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

8. შრომის, ელექტრო და ხანძარუსაფრთხოების წესების დაცვა

8.1. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“, ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 “მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ” და 2017 წლის 27 ოქტომბერის №477 “სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ” დადგენილებების მოთხოვნები სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმართვის თაობაზე. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

8.2. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

8.3. ნაშალი მასალის და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით;

8.4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

8.5. სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

8.6. მობილური ამწეების და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

8.7. საქართველოს მთავრობას მშენებლობაზე შრომის, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე რამდენიმე დადგენილება აქვს მიღებული და მშენებლობაში დასაქმებული ყველა სუბიექტისაგან თხოულობს მათ განუხრედ დაცვას.

8.8. მუშები უნდა ატარებდნენ ჩაფხუტებს და ჩაცმულები უნდა იყვნენ ბრეზენტოვან სამუშაო სამოსში. ასევე სამონტაჟო პროცესებში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალსაც თავზე უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.

8.9. აუცილებელია სადემონტაჟო ობიექტის პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებებითა და ხანძარ-საწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა.

8.10. მავნე და ფეთქებადსაშიში მასალები მასალები უნდა ინახებოდეს დახურულ საცავებში.

8.11. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დაშლის პერიოდში მის სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

8.12. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

8.13. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

8.14. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირები.

9. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

9.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება. ეს საკითხი განსაკუთრებით ეხება სადემონტაჟო ობიექტის ნაკვეთზე მრავალწლიანი ხეების დიდ რაოდენობას, რომლებიც შეიძლება შემთხვევით დაზიანდეს მობილური ამწის მუშაობის პროცესში. ამწის დოგმა ისე უნდა შეირჩეს, რომ ისრის ტრიალი შესაძლებელი გახდეს ხეების თავზე გადავლების გარეშე. ტვირთი უნდა აიწიოს და ჩამოეშვას კედლის გასწვრივ.

9.2 კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც დასაშლელი ადგილები საჭიროა წინასწარ დაინამოს ან შენობას ჩამოეფაროს ფარდა, ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

9.3 იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამოყრა. სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავსაყრელი მილებით, ცხადია სასურველია მათი პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობების ჩამოსვება უნდა ამწეების საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი

ავტომატების პლატფორმებზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე ტრანსპორტირება.

9.4. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭეხის დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა, ვინაიდან ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელია.

9.5 სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეო- ბაში რეკომენდებული არ არის. ავტომატების ძარებში ჩატვირ-თვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს ან გადაეფაროს ბრეზენტის საფარი.

10. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატიული ლიტერატურა

10.1. კრებული – სამახსოვრო ქართულ ენაზე – მომქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

10.2. რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბილისი, 2007 წ

10.3. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ.

10.4. СНиП 3.01.01.85* „Организация строительного производства”, М. 1989г.


10.5. СНиП III-4-80* „Техника безопасности на строительстве” , М. 1988г

10.6. Справочник мастера – строителя , М. 1989 г.

10.7. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 “მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ”.

10.8. 2017 წლის 27 ოქტომბერის №477 “სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ” დადგენილებების მოთხოვნები სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმართვის თაობაზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა




ექსპლიკაცია: 1. სადემონტაჟო შენობა (საკადასტრო გეგმის ნუმერაციით №47); 2. მობილური ამწე; 3. დემონტირებული მასალა-ნაკეთობების ხანმოკლე პერიოდით დასაწყობი ადგილი; 4. არსებული დობე; 5. დროებითი დობე; 6. სადემონტაჟო ნაგებობა (საკადასტრო გეგმის ნუმერაციით №69); 7. ავტოტიშკარი; 8. მანქანა - მექანიზმების სამოძრაო მიმართულება.

მითითებები; 1. თბილსრესის ტერიტორიის ფართობი 988148 მ² შემოღობილია კაპიტალური დობით;

2. ასევე №1 სადემონტაჟო შენობაც ორი მხრიდან შემოღობილია მავთულბადოვანი დობით. დემონაჟის პერიოდში საჭიროა მისი მთლიანი შემოღობვა დროებითი დობის დამატებით.

3. №6 ერთსართულიანი ნაგებობის დემონტაჟი მცირე პერიოდს საჭიროებს, მისი შემოღობვა საჭირო არ არის.

ხედი ა-ა



მითითებები: 1. რეკომენდაციები სამუშაოთა ორგანიზაციის წარმოებისა და წარმართვის თაობაზე ტექსტობრივ ნაწილშია.

2. მობილური ამწე გარს უვლის შენობას და მოხერხებული პოზიციდან აწარმოებს გადახურვის ღრუბრებიანი ფილების დემონტაჟს ავტომატურად ჩატვირთვით; აწევის წინ ფილას გარშემო შემოეცელოს ბაგირი. შესაძლებელია სხვა კონსტრუქციებზეც მისი გამოყენება. ამწის მუშაობის პერიოდში იკრძალება სამშენებლო პროცესში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა შემოღობილ ტერიტორიის ფარგლებში. მუშები უნდა ატარებენ ჩაფხუტებს და ჩაცმულები უნდა იყვნენ ბრეზენტოვან სამუშაო სამოსში. დემონტაჟის პროცესებში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალსაც თავზე უნდა ეხურათ დამცავი ჩაფხუტები.

3. სამშენებლო ზოლის გასწვრივ აუცილებელია ეკოლოგიური და ბუნების დაცვითი მოთხოვნების დაცვა. იკრძალება ხეების მოჭრა, სპეციალური ნებართვის გარეშე.

4. სამუშაოები უნდა წარიმართოს შრომის, ელექტრო და ხანძარ-უსაფრთხოების ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად საქართველოს სამშენებლო კანონმდებლობისა.



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018404556 - 14/05/2018 12:50:23

მომზადების თარიღი
14/05/2018 15:23:26

საკუთრების განყოფილება

ზონა გარდაბანი	სექტორი გარდაბანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 988148.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 81.15.30.056; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა ნაგებობანი
81	15	30	070	
მისამართი: ქალაქი გარდაბანი, თბილსრესის მიმდებარე ტერიტორია				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011580288 , თარიღი 30/11/2011 11:45:24
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/12/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N109 , დამოწმების თარიღი: 29/11/2011 , შპს გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა
- წილის ნასყიდობის ხელშეკრულება N1-4348 , დამოწმების თარიღი: 14/05/2008 , ნოგარიუსი ც, ბერიძე
- ბრძანება N1-1/2452 , დამოწმების თარიღი: 22/11/2011 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

მესაკუთრეები:

შპს გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა, ID ნომერი: 203828313

მესაკუთრე:

შპს გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეგნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო კოდი: **81.15.30.070**

განცხადების ნომერი: **882017518749**



მომზადების თარიღი: **15/06/2017**


ნაკვეთის დანიშნულება:


ფართობი:


არასასოფლო სამეურნეო

988148 33.0 (WGS 84 / UTM zone 38N)







<div><div></div><div>შპს გ.პ. "გ.პ. უმჯობესი წყალი" MORE THAN JUST WATER</div></div>			შ.პ.ს. "ჯორჯიან უმთავრესი ენერჯიტი" ტექნიკური მშენებლობისა და პროექტირების დეპარტამენტი თბილისი, კოსტავას ქ. შესახვევი, №33		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ძ. გარდაბანი, თბილისის მთავრობის ტერიტორიაზე ს.პ. 81.15.30.070 ამორტიზებული ორი შენობა-ნაგებობის დაშლა-დემონტაჟი		
საპ. სამსახ.	მ.ნაცვლიშვილი				
უფროსი	მ. კვინტარაძე				
შეასრულა			ჭრილი A-D	მასშტაბი	თარიღი
				-	2018 03-ლი
				სტადია	ფურცელი
				მ.პ.	29
					35









